ბრძანება:**ბ28. 28260146**

თარიღი:**14/01/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა არსებულ

ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ე პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35 მუხლის, საქართველოს კანონის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. გამოცხადდეს ღია კონკურსი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა არსებულ ვაკანტურ პოზიციაზე დანართის შესაბამისად;

მუხლი 2. კონკურსი ოფიციალურად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით 2026 წლის 15 იანვრიდან ;

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტის განცხადებების და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადათ განისაზღვროს 5 კალენდარული დღე კონკურსის გამოცხადების (ვებგვერდზე გამოქვეყნების) დღიდან;

მუხლი 4. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად: 1). განცხადებების გადარჩევა; 2) გასაუბრება; 3) შედეგების გამოცხადება;

მუხლი 5. ბრძანება გამოქვეყნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე;

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი